European Bank
for Reconstruction and Development

2016 წლის 6 მაისი

მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემს

ძვირფასო ჭუბერის თემის წარმომადგენლებო, ბატონო ანსიანი,

მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის, რომელიც 2016 წლის 18 აპრილს რამდენიმე ადრესატს გაუგზავნეთ, მათ შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD ან ბანკი). მადლიერნი ვართ, რომ გაგვიზიარეთ თქვენი წუხილი ნენსკრას ჰიდროელექტრო სადგურთან დაკავშირებით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ ეტაპზე ბანკს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით. EBRD–ის მოთხოვნებს შორის, რომ ბანკმა პროექტის დაფინანსების შესაძლებლობა განიხილოს, არის ბანკის შესრულების მოთხოვნების (PR) დაკმაყოფილება 2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად. იმის შესაფასებლად, სრულდება თუ არა ეს პირობები, ბანკი ამჟამად ატარებს დეტალურ გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების შეფასებას. ჩვენ გავითვალისწინეთ საკითხები, რომლებიც თქვენს წერილში იყო დასმული და ჩავრთეთ ისინი ამ კვლევაში.

EBRD დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დაინტერესებულ მხარეების ჩართულობით კონსულტაციის პრინციპს. ჩვენ ვთხოვეთ საპროექტო კომპანიას, ჩამოაყალიბოს პროცედურები, რომელთა საშუალებითაც დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ, გააკეთონ კომენტარი, დასვან შეკითხვები ან წარმოადგინონ საჩივარი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ პროექტს EBRD–ის მიერ მინიჭებული აქვს "A" კატეგორია, რაც ნიშნავს იმას, რომ EBRD–ის დირექტორთა საბჭოს მიერ პროექტის განხილვის თარიღამდე გამოიყოფა ინფორმაციის გაზიარებისა და კონსულტაციის პერიოდი (მინიმუმ 60 დღე, როგორც ეს გათვალისწინებულია EBRD–ის მოთხოვნებით). ასევე შემუშავდება გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის შეფასების პაკეტი (ESIA) პოტენციური გამსესხებლის გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით და მისი გასაჯაროება მოხდება სწორედ ამ გაზიარებისა და კონსულტაციების პერიოდში. ამგვარად, ამ პერიოდში თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, რომ ისაუბროთ შესაბამის პრობლემებზე და მოგვაწოდოთ კომენტარები პროექტთან დაკავშირებით, სანამ ბანკი დაფინანსების გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჩვენ მზად ვართ მოგაწოდოთ შემდგომი განმარტებები. დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, მიწეროთ EBRD–ს ან საპროექტო კომპანიას.

პატივისცემით,

One Exchange Square, London EC2A 2JN, United Kingdom
Tel: +44 20 7338 6000 or +44 20 7946 6000 Fax: +44 20 7338 6100 or +44 20 7496 6100 Web site: www.ebrd.com

European Bank
for Reconstruction and Development

ბილჰანა რადონჟიკ კერ-ლინდსეი

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის განყოფილების ხელმძღვანელი
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
E-mail: cso@ebrd.com